

**თსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა
ჩარიცხვის შესახებ**

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად “საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე აკრედიტებული პროგრამით სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების სიის დამტკიცების შესახებ” და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 15 ნოემბრის №1159 ბრძანების გათვალისწინებით

გბრძანებ:

I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან სექტორზე ჩარიცხულ იქნას სირიის არაბული რესპუბლიკის მოქალაქე- მჰდ ზაიდ აიუბი.

II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2012 წლის 30 დეკემბრამდე.

III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტის სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს თსუ-ის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს კ. ჭელიძეს და უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს.

IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

V. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, რექტორის აპარატის უფროსს ნ. რუხაძეს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანს კ. ჭელიძეს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს, საერთაშორისო ურთიერთობათა

დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი